სადოქტორო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია /Philosophy

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი/PhD in Philosophy

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი დემურ ჯალაღონია, ასოცირებული პროფესორი მამუკა ბიჭაშვილი.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) სადოქტორო პროგრამის მიზანი - ბოლონიის პროცესში საქართველოს ჩართვამ ახალი მოთხოვნილებების წინაშე დააყენა უმაღლესი განათლება. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სწრაფცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრებასა და გადაწყვეტას. დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში ითვალისწინებს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელისშეწყობას. აქედან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამის მიზანია: მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც მაღალ თეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს, უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. სადოქტორო პროგრამაში თანამედროვე ფილოსოფიის სწორედ ამგვარი სპეციფიკაა გათვალისწინებული - იგი იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა. სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში დოქტორანტს სთავაზობს შემდეგ სპეციალიზაციებს:

1. მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია.
2. ფილოსოფიის ისტორია,
3. კულტურის ფილოსოფია და ესთეტიკა.
4. სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია.
5. ლოგიკა და ენის ფილოსოფია.
6. ეთიკა და რელიგიის ფილოსოფია და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის კონფლიქტის არსის გაშუქებას, პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას, პროგრამა ითვალისწინებს ტრადიციული ფილოსოფიური სტრატეგიების კონკრეტიზაციას ექსისტენცის ტრანსცენდირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ონტოლოგიურ მოდუსში. კერძოდ, სწავლებას, სწავლასა და კვლევას მეტაფიზიკისა და ეპისტემოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის, ეთიკის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, ლოგიკის, რელიგიის ფილოსოფიის და ა.შ. მიმართულებით.

ბ) პროგრამის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1. თანამედროვე დასავლური ტრადიციის გათვალისწინებით ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების ცოდნა. ქართული ფილოსოფიური აზრის ადგილის გაცნობიერება.

1.2. თანამედროვე ფილოსოფიის თეორიებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ეთიკა, ესთეტიკა, კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფია, ენის ფილოსოფია, ლოგიკა, რელიგიის ფილოსოფია დონეებზე.
1.3.თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი მეთოდების და მეთოდოლოგიების ცოდნა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

2.1. სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი
2.2. სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი. აზრის სიზუსტის მიღწევის უნარი და მისი ადექვატური გამოყენების უნარი რთულ და წინააღმდეგობრივ დებატებისას.
2.3. სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებათა და ტექსტის აზრის ინტერ-პრეტაციის უნარი. სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმის უნარი
2.3. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

3.1. სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი. უნარი გადალახოს საგნის ტრადიციული საზღვრები, სხვა დისციპლინათა ნაკლოვანებებისა და ღირსების განხილვით და აღმოაჩინოს ფილოსოფიური დოქტრინები უცნობ არეებზე.
3.2. ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი
3.3. მეცნიერული არგუმენტირების უნარი
3.4. დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი.
3.5.საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი
3.6. საკუთარი თავის მოტივირების უნარი.

გ) დასაქმების სფეროები - კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში
- საჯარო სამსახურებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციებში.
- საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურის და პოლიტიკის შესახებ მონაცერმთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად.
- სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.
- ანალიტიკურ ცენტრებში

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრანტის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონე.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტი:
დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. სადი-სერტაციო ნაშრომი, რომელზეც დოქტორანტი მუშაობს სწავლების პერიოდში უნდა იყოს მო-ნოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც უნდა შეიცავდეს

მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word-ში, შრიფტის ზომა - 12).

	სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები და აქტივობები:	**25 კრედიტი**
1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი
2	პროფესორის ასისტენტობა	5 კრედიტი
3	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	5 კრედიტი
4	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	5 კრედიტი
5	მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი
	პროგრამის სავალდებულო კურსები	**15 კრედიტი**
1	კვლევის მეთოდები	5 კრედიტი
2	სპეციფიკური დარგობრივი კურსები	10 კრედიტი
	არჩევითი კურსები:	**20 კრედიტი**
1	საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	
2	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	
3	უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	
4	აკადემიური წერა	

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სტუდენტები ისარგებლებენ ინტერნეტით, ბიბლიოთეკით. ისინი პროფესიული მომზადების პროცესში სადოქტორო პროგრამის პედაგოგებისაგან მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციასა და კონსულტაციას. უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ ფილოსოფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამაზე შესაძლებელია მიღებული იქნას 10 დოქტორანტი

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი: პროფესორები -კახა კაციტაძე, აკაკი ყულიჯანიშვილი, ანასტასია ზაქარიაძე, დემურ ჯალაღონია, ლელა ალექსიძე, მამუკა ბიჭაშვილი, რეზო გორდეზიანი, ლერი მჭედლიშვილი, გიორგი ბარამიძე, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი.